პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 7 იანვარი, 1989 წელი ● № 2 (3082) ● ● СУББОТА, 7 ЯНВАРЯ 1989 г.

## სსრ კავშირის პროკურატურაში

**სსრ კავშირის** პროკურატურაში გაიმართა პროკურატურის ორგანოების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი.

განიხილეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მოკავშირე რესპუბლიკებში მართლწესრიგის, საზოგადოებრივი უშიშროებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის თანმიმდევრული მოქმედების, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევის მეოხებით დაისახა ვითარების სტაბილიზაცია. ამ ბოლო დროს სამართალდამცველმა ორგანოებმა აღკვეთეს ეროვნებათშორისო მტრობის გაღვივების, უწესრიგობის წაქეზების, ღვარძლიანი ჭორების გავრცელების მრავალი ცდა. გახსნილია დანაშაულებების, კერძოდ, განზრახ მკვლელობების მნიშვნელოვანი ნაწილი. მათი ჩამდენი პირნი დაპატიმრებული არიან. 30-ზე მეტი საქმე უკვე გაგზავნილია სასამართლოებში. მიმდინარეობს ეროვნული თანასწორუფლებიანობის კანონის დარღვევის ფაქტების გამოძიება.

ამასთანავე რესპუბლიკაში კვლავ რთული ვითარებაა. ჯერ კიდევ არის ძალადობისა და ძარცვის შემთხვევები, გაისმის წამქეზებლური მოწოდებანი შელახონ მოქალაქეთა უფლებები, ეროვნული ნიშნის მიხედვით, არ დაემორჩილონ ხელისუფალთ.

ზოგჯერ სამართალდამცველი ორგანოების მუშაკები გაუბედავად მოქმედებენ უკანონობის აღსაკვეთად, ექსტრემისტებისა და სხვა იმ დანაშაულებრივი ელემენტების სააშკარაოზე გამოსაყვანად, რომლებიც თავიანთი ანგარებითი მიზნების მისაღწევად სარგებლობენ ეროვნული გრძნობებით. ასეთ მუშაკთა პოზიციას მწვავე შეფასება მიეცა, გამოტანილია საჭირო ორგანიზაციულ-საკადრო დასკვნები.

განისაზღვრა სამართალდამცველი ორგანოების კოორდინირებული მოქმედება პროვოკაციული ანტისაზოგადოებრივი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში ჯეროვანი წესრიგის დამყარების ყველა ღონისძიება უნდა ხორციელდებოდეს შრომითს კოლექტივებთან მჭიდრო თანამოქმედებით, სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვით, სამსახურებრივი მოვალეობის უზადო შესრულებისათვის სამართალდამცველი ორგანოების ყოველი მუშაკის მაღალი პასუხისმგებლობის პირობებში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის განყოფილების გამგე ა. ს. პავლოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. ი. სუხარევი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კრიუჩკოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ვ. ბაკატინი.

(საქინფორმი)

---

В пресс-бюро МВД СССР

## ОСВОБОЖДЕНЫ ИЗ ТЮРЬМЫ... НА НЕДЕЛЮ

**На вопросы корреспондента газеты «Известия» А. ИЛЛЕШ отвечает подполковник в/с В. ПРОКОПЕНКО.**

— Скажите, есть ли жертвы среди осужденных и контингента ЛТП? И еще: в первые дни циркулировали слухи о большом количестве преступников, якобы совершивших побег из тюрем во время землетрясения...

— Это только слухи. Из колоний и следственных изоляторов, оказавшихся в зоне разрушений, ни во время землетрясения, ни в ходе ликвидации его последствий не было совершено ни одного побега. — Добавлю, что среди осужденных в колониях, подследственных в СИЗО и лиц, содержащихся в ЛТП, жертв и пострадавших не было.

— Но у многих из них, видимо, погибли близкие, пострадали семьи... Была ли им предоставлена возможность отдать последний долг погибшим?

— Как только стали очевидны масштабы трагедии, руководством МВД СССР было принято решение — разрешить осужденным, у которых погибли близкие родственники, кратковременный отпуск сроком на 5—7 суток для участия в похоронах.

Первая группа осужденных вышла на свободу уже 9 декабря. Кратковременные отпуска в связи с трагедией получили 286 человек. В том числе 204 осужденных из колоний общего, усиленного и строгого режимов, 48—лечащихся в ЛТП и 26—осужденных из исправительно-трудовых колоний-поселений. За все истекшие дни не было зафиксировано ни одного случая мародерства или ЧП с их стороны.

— То, что вы рассказали,— еще одно свидетельство в пользу дальнейшей гуманизации условий содержания осужденных: ведь сколько я знаю, существует идея вообще предоставлять им в исключительных случаях отпуск. Что в этом плане делается?

— Сейчас ведется работа по радикальному пересмотру действующего исправительно-трудового законодательства. И модель проекта новых Основ опубликована в журнале «Воспитание и правопорядок».

Так вот, статья 35 проекта, в частности, предусматривает, что осужденным, содержащимся в исправительно-трудовых колониях общего режима, колониях-поселениях всех видов и воспитательно-трудовых колониях, могут быть разрешены краткосрочные выезды за пределы мест лишения свободы на срок не более семи суток, не считая времени, необходимого для проезда в оба конца (не свыше 5 суток) в связи с исключительными личными обстоятельствами: смерть или тяжкая болезнь близкого родственника, угрожающая жизни больного; стихийное бедствие, причинившее значительный материальный ущерб осужденному или его семье. Кроме того, предусматривается, что осужденным женщинам, имеющим несовершеннолетних детей, краткосрочные выезды на срок не более 7 суток могут предоставляться для устройства ребенка, находящегося в доме ребенка при ИТК.

---

## ქალაქს — სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი

**თბილისის** საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, რომ ქალაქში ვითარების დესტაბილიზაციამ დიდად შეაფერხა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაც.

სათანადო კონტროლის გარეშე დარჩა ქალაქის მრავალი უბანი, მკვეთრად გაუარესდა ოპერატიული ვითარება. 22 ნოემბრიდან 29 ნოემბრამდე დედაქალაქში რეგისტრირებულ იქნა ორჯერ მეტი დანაშაული ვიდრე შარშან ანალოგიურ პერიოდში, მათ შორის განზრახ მკვლელობის ორი და სხეულის მძიმე დაზიანების ოთხი შემთხვევა, ძარცვის, ბინის ქურდობის, ავტომანქანის გატაცების, მძიმე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, სხვადასხვა დანაშაულებანი. ამასთან, თუ შარშან გარდა ერთისა, ამ დროისათვის ყველა დანაშაული იყო გახსნილი, წლეულს ჩადენილ დანაშაულობათა მხოლოდ 70 პროცენტის გახსნა მოხერხდა.

ანტისაზოგადოებრივი აქციების ორგანიზატორთა და მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ ამორალური ადამიანები, კორუმპირებული ელემენტები, რომლებმაც ფულადი სახსრები შეაგროვეს არასანქციონირებული მიტინგების მონაწილეთათვის, მათი სატრანსპორტო მომსახურებისათვის.

აღმაშფოთებელი დანაშაული ჩაიდინა კოოპერატივ „საბურთალოს" ხორცის შებოლვის საამქროს უფროსმა, 30 წლის ისაკაძემ. მან მთვრალმა, ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის წაყრუებით შესძლო ამძვრალიყო მთავრობის სახლის შენობის სახურავზე და შეებღალა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა. ამჟამად იგი პასუხისგებაშია მიცემული.

კვლავ მოქმედებენ სხვადასხვა ჯურის მაქინატორები, მექრთამეები, და თაღლითები. მაგალითად, ისეთები, როგორიცაა მერი დორეული, რომელსაც თავის დროზე მექრთამეობისათვის 6 წლის პატიმრობა მიესაჯა, ვადამდე განთავისუფლებული, იგი ოთხი თვის შემდეგ, — წლეულს ნოემბერში, კვლავ დააკავეს. ავტომობილის საბარგულში, რომელსაც იგი მართავდა, აღმოუჩინეს ფულის დასტები 140 ათასი მანეთის რაოდენობით.

გამოირკვა, რომ ეს იყო ნაწილი იმ 200 ათასი მანეთისა, რომლებიც დორეულმა თავის თანამზრახველებთან — „საქბინრემპროექტის" ინჟინერთან ტოროშელიძესთან და ვინმე ტვილდიანთან ერთად, რომლებმაც უკვე მოასწრეს და დაემალნენ გამოძიებას, დასტყუეს ცხინვალის საკონსერვო ქარხნის დირექტორს გახელაძეს, მთავარ ინჟინერს პლიევს, საამქროს უფროსს მელაძესა და ქარხნის ლაბორატორიის გამგეს ტერაშვილს, რადგანაც ხელი მოჰკიდეს იმ სისხლის სამართლის საქმის „მოწესრიგებას", რომელიც აღიძრა ამ ქარხანაში დიდ დატაცებასთან დაკავშირებით...

ბოლო არ მოღებია მექრთამეობას, მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში, როცა წყდება უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების ჩარიცხვის საკითხები.

სერიოზულ ბოროტმოქმედებას ურიგდებიან კოოპერაციულ მოძ-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

---

## ფოტოინფორმაცია



**გორის** შს საქალაქო განყოფილების უფროსი მორიგის თანაშემწე, მილიციის მაიორი ანზორ გიორგაძე 20 წელია შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს, არის მილიციის წარჩინებული. მის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული შემთხვევის ადგილზე ოპერატიული ჯგუფის დროული გასვლა. მეორე სურათზე სწორედ ამ დროს არიან აღბეჭდილი განყოფილების თანამშრომლები მილიციის კაპიტანი მ. ერისთავი, მილიციის უფროსი ლეიტენანტები ზ. წკრიალაშვილი და რ. ბოლოთაშვილი.

ზ. ზურაბიშვილის ფოტო



# ПРЕТВОРИТЬ В ЖИЗНЬ РЕШЕНИЯ ПАРТКОНФЕРЕНЦИИ

**Глубоко изучив ее материалы, повысить роль руководителей учебных групп системы марксистско-ленинской подготовки и политзанятий в пропаганде и разъяснении решений партконференции, мобилизации личного состава ОВД республики на их выполнение — таковы были задачи конкурса среди пропагандистов системы МВД ГССР на лучший реферат по материалам XIX партконференции.**

**ДЛЯ ПРИДАНИЯ** конкурсу большей конкретности и организованности, было подготовлено и направлено на места положение о его проведении, в котором как наиболее приближенная к работе ОВД была предложена тема «Укрепление правовой основы советского общества».

Результаты первого этапа были подведены в горрайорганах, подразделениях и учреждениях, после чего рефераты направлялись в комиссии МВД, УВД, ГУВДТ. В заключительном туре конкурсной комиссией было рассмотрено 86 рефератов.

Лучшими среди пропагандистов политсеминаров признаны: занявший первое место начальник отдела службы УООП МВД ГССР подполковник внутренней службы О. Чахунашвили; разделившие второе место начальник Цхинвальского ГОВД майор милиции В. Гассиев, участковый инспектор ИДН Очамчирского РОВД старший лейтенант милиции Л. Джолохава; разделившие третье место начальник учреждения УИД МВД ГССР подполковник внутренней службы М. Майсурадзе и начальник Горийского ГОВД капитан милиции Э. Сабанадзе.

В конкурсе среди пропагандистов политшкол решено первое место не присваивать. Второе место разделили заместитель начальника Зугдидского РОВД по политчасти капитан милиции Т. Сичинава, заместитель начальника ЛОВД ст. Сухуми по политчасти капитан милиции Г. Бения. Третье место разделили заместитель командира подразделения ППС УВД Тбилгорисполкома лейтенант милиции Г. Чермидов и заместитель начальника ВПЧ-45 г. Рустави капитан внутренней службы А. Папазян.

Победители приказом МВД Грузинской ССР награждены ценными подарками. За активное участие в проведении конкурса и качественную подготовку рефератов объявлена благодарность заместителю начальника Сабурталинского РОВД г. Тбилиси по политчасти подполковнику милиции В. Корнееву, заместителю начальника Цхалтубского ГОВД по политчасти майору милиции Н. Кварацхелия, старшему инспектору ООП Цулукидзевского РОВД капитану милиции В. Мхеидзе, старшему инспектору по кадрам и БСП Гардабанского РОВД капитану милиции В. Сластухину, заместителю начальника Ванского РОВД по политчасти майору милиции Л. Ткешелашвили. Кроме того, все 86 участников заключительного тура поощрены приказами руководителей органов и подразделений ВД на местах.

Со знанием дела, исходя из конкретных примеров, участники конкурса остро ставили и вскрывали вопросы, связанные с необходимостью укрепления правовой основы советского общества. Значительное место практически во всех рефератах было отведено необходимости проведения правовой реформы.

Отмечалась необходимость более профессиональных действий, полного использования предоставленных законом прав при предотвращении антиобщественных проявлений со стороны провокационно настроенных лиц.

Серьезная озабоченность высказывалась в связи с проблемами организованной преступности. Была подчеркнута необходимость разработки конкретных мер по законодательному, кадровому и техническому обеспечению борьбы с ней.

Следует отметить, что, наряду с положительными тенденциями, проведение конкурса рефератов позволило выявить и слабые стороны организации и проведения политической учебы.

Исходя из анализа полученных рефератов, с учетом имеющихся в них недостатков, политотделом МВД ГССР планируется дальнейшая работа по повышению пропагандистского мастерства руководителей групп политучебы конкретных органов и подразделений.

# სკკპ რიგებში — მხოლოდ ღირსეულნი

**ზ. გოგია** საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ 1984 წლის თებერვლიდან მუშაობს რუსთავის შს განყოფილების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფის ათმეთაურად. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მიღწეული წარმატებებისათვის იგი განყოფილების ხელმძღვანელობის და რუსთავის კომკავშირის კომიტეტის მიერ არაერთგზის არის წახალისებული სიგელებით. არის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

ამ ცოტა ხნის წინ კოლექტივმა ნდობა გამოუცხადა მოწინავე მუშაკს და მიიღო სკკპ წევრობის კანდიდატად.



ПО ЗАКОНАМ БРАТСТВА И МУЖЕСТВА

# НАСТРОЕНЫ НА ТРУД

**КАК МЫ уже обещали нашим читателям, в следующем номере будет дана информация о совместной работе на местах стихийного бедствия. Сегодня мы предлагаем материалы, подготовленные нашими специальными корреспондентами в Степанаване А. Малаянцем и Г. Мгалоблишвили.**

**В очередной раз мы прибыли в Кировакан и автобусом добираемся до Степанавана, где находится специальный отряд сотрудников органов внутренних дел республики.**

**Многое здесь изменилось, руины стали пониже. На улицах властвует техника: мощные автокраны, грузовики. Почти исчезли костры, не увидишь также укутанных в одеяла женщин и детей.**

**В зоне стихийного бедствия начался новый этап — этап возрождения. Но для нормальной работы нужен и образцовый порядок, для поддержания которого и находятся в Степанаване сотрудники милиции из Грузии и Тюмени.**

Какая была проделана работа за истекшие 15 дней по линии службы я попросил рассказать заместителя начальника отряда по службе, заместителя начальника отдела ООП МВД Абхазской АССР капитана милиции К. Азнауряна.

— Начну я со службы ППС. Основная задача нарядов патрульно - постовой службы — осуществлять профилактическую работу и не допускать правонарушений в местах несения службы. Одновременно им дано право проверок наличия товарно - транспортных накладных на перевозимые грузы.



**НА СНИМКЕ: инспекторы дорожно - патрульной службы Боржомского РОВД, коммунисты сержанты милиции В. Гонцадзе, Г. Гоголадзе и З. Гелашвили у въезда в город Степанаван.**

По согласованию с прокуратурой города наши экипажи, которые выставляются при въезде и выезде из города, имеют право фиксировать все грузы, брать на учет и передавать эти грузы по месту назначений. Бывали и факты нарушений. Несколько дней тому назад экипаж ППС УВД Тбилгорисполкома младшего сержанта А. Чубинидзе и рядовых милиции из МВД Абхазской АССР Г. Меликсетяна и С. Мкртычяна несли службу у въезда в город. На посту они остановили грузовую автомашину ГАЗ-53, загруженную медикаментами. Документов у водителя не оказалось, и машину, выезжающую за пределы республики, пришлось доставить в ГРОВД. На месте было обнаружено, что вместе с медикаментами в машине были и два мешка наркотических веществ группы «А» (морфий, амнапол и промидол). Вот так, благодаря оперативности наших сотрудников, было предотвращено хищение и вывоз за пределы Армении ценных медикаментов. И так каждый день. Всего за 15 дней нашими сотрудниками выявлено более 35 фактов нарушений.

Еще один факт. В селе Пушкино сотрудниками УУР МВД СССР совместно с сотрудниками УР Степанаванского ГРОВД и УУР МВД ГССР были задержаны два жителя этого села, которые обвинялись в убийстве односельчанина. При задержании и обыске у них было обнаружено самодельное огнестрельное оружие, а также карабины с боеприпасами. Задержанные были доставлены в Ереван.

С первых же дней несения службы нашим сотрудникам необходима была связь. Тут нельзя не отметить большую работу, которую провели и проводят представители отдела связи МВД ГССР во главе с руководителем группы капитаном милиции Ю. Прохоренко. Мы организовали оперативную радиосвязь с нарядами патрульно - постовой службы, — рассказывает Ю. Прохоренко. — ГАИ Степанавана и наших подразделений установили прямую телефонную связь с партийными и советскими органами, военной комендатурой района. Установлен прямой телефонный канал с коммутатором межгорсвязи МВД ГССР, на месте же организуется мелкий ремонт средств радиосвязи. Активное участие в организации связи приняли также старший инженер отдела связи МВД ГССР старший лейтенант милиции Э. Короян и др.

Приступила к работе группа кинологов, которая ежедневно, совместно с пешими патрульными нарядами, будет нести службу в местах наибольшего скопления людей.

Хорошо налажен и культурный досуг сотрудников, — говорит заместитель руководителя отряда по политчасти, заместитель командира отдельного батальона ДПС УГАИ МВД ГССР по политчасти майор милиции Р. Арабидзе, — ежедневно поставляются к нам свежие газеты и журналы, действует передвижная библиотека, которую прислал нам политотдел МВД республики, в каждой палатке установлен телевизор, есть шахматы, шашки.

Подходило время обеденного перерыва. Ежедневно с 13 до 15 часов в отдельной палатке, отведенной под столовую, принимают сотрудники горячую пищу, — вступил в разговор заместитель начальника отряда по тылу майор внутренней службы Ш. Джихошвили, — молодцы ребята, вкусно готовят, как истинные повара. Это младший сержант милиции из Кутаиси Б. Мелуава и милиционер Сухумского ГОВД М. Джалагония. Вначале, конечно, были и трудности, но сейчас все налажено четко, ежедневно из Тбилиси привозим продукты питания и все необходимые вещи, вовремя завозится питьевая вода, организовано и еженедельные посещение бани.

* * *

**В КАНУН** Нового года в редакцию поступило несколько благодарственных телеграмм и писем из Кировакана и Спитака. Так, начальник ГОВД г. Кировакана полковник милиции **А. Овсепян** и начальник политической части майор внутренней службы **С. Арутюнян**, обращаясь ко всему личному составу МВД Грузинской ССР, пишут:

**Дорогие коллеги!**

**Примите нашу сердечную благодарность за искреннее сочувствие и своевременную помощь. Это сочувствие согревает наши сердца, дает силы нашим сотрудникам перенести потерю родных и близких, с честью выполнить свой служебный и человеческий долг.**

**Спасибо, друзья!..**

А вот что пишет председатель колхоза села Лернаицк Спитакского района тов. **Апгарян:**

**Сейчас, когда вся страна помогает Армении, нам немного стало легче, и есть возможность написать Вам. Мы вспоминаем, как в самые тяжелые горькие первые дни стихии, когда от безнадежности и горечи беды стонало сердце по погибшим, рядом с нами появились добрые энергичные люди, вселяющие в нас оптимизм, простые ребята, называвшие себя сотрудниками милиции района имени 26 комиссаров, г. Тбилиси. Мы рады и горды, что рядом с нами работают такие душевные и отзывчивые сотрудники.**

# ქალაქს — სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი

(დასასრული).

რაობაში. გარდა იმისა, რომ ამ სფეროს ეტმასნებიან ადამიანები, რომლებიც უშრომელ შემოსავალს იღებენ სხვადასხვა კომბინაციისა და აფერის გზით, ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, ჯიბის გასქელებისათვის, მრავალი თანამდებობრივი პირნი, რომელთა კომპეტენციაში შედის კოოპერატივების შექმნასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტა.

გახმაურდა წყნეთის კოოპერატივ „სიხარულთან" დაკავშირებული ამბავი. ამ საბავშვო ბაღ-პანსიონატის პატრონები მაღალი თანამდებობის მშობლებს ართმევდნენ 300-300 მანეთს ბავშვის მთელი დღე-ღამის განმავლობაში შენახვისათვის და ორას-ორას მანეთს — ამ პრესტიჟულ საბავშვო ბაღში მისი დღისით ყოფნისათვის.

გამოირკვა, რომ ამ უკაცრავი პასუხია, „კოოპერატივის" თავმჯდომარეს მშველიძეს მიმდინარე წლის მაის-ივნისში საბურთალოს რაიონის საბინაო-სოციალურმა ბანკმა (მმართველი შ. ჩხეიძე) მისცა გრძელვადიანი კრედიტი დაახლოებით 200 ათასი მანეთი...

დაშვებულია სხვა ბოროტმოქმედებანიც ქალაქის კოოპერატივებში...

კონფერენციაზე მოიყვანეს სახელმწიფო დისციპლინის მოშლის, უკონტროლობისა და განუკითხაობის ალმაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც გამოვლინდა დედაქალაქის პურპროდუქტებით ვაჭრობის ქსელში. მხოლოდ რამდენიმე მაღაზიაში დატაცებულია თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი.

ბოლო ხანს ჩვენ სულ უფრო ხშირად და სულ უფრო დაჟინებით ვამბობთ, რომ საჭიროა მტკიცედ და თანმიმდევრულად ვახორციელებდეთ სოციალური სამართლიანობის პრინციპებს, ვეძებდეთ მისი პრაქტიკული რეალიზების გზებსა და ფორმებს. რა სოციალურ სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ბოლო ვერ მოგვიღია ისეთი სოციალურად მახინჯი და სოციალურად საშიში მოვლენებისათვის როგორიც არის მექრთამეობა, გამომძალველობა, ხაზინის ქურდობა, პროტექციონიზმი? ამიტომ აღნიშნავდნენ ორატორები, მტკიცედ უნდა ვილვაწოთ, რათა განვახორციელოთ სოციალური სამართლიანობის პრინციპი ცხოვრების ყველა დარგში.

# ГОТОВЫ К ВСЕСОЮЗНОЙ ПЕРЕПИСИ НАСЕЛЕНИЯ

**С 12 ПО 19 ЯНВАРЯ 1989 года в стране будет проходить Всесоюзная перепись населения. Непосредственное участие в организации подготовки и проведения этого важного общественно - политического мероприятия в жизни страны принимают и органы внутренних дел. Во взаимодействии с партийными и советскими органами они будут оказывать практическую помощь работникам переписи в пределах переписываемых районов.**

**Одновременно будет переписываться население и спецконтингент, проживающий на объектах МВД республики. Подлежат переписи 108 объектов МВД. Несколько тысяч человек, проживающих на этих объектах, будут переписываться силами органов внутренних дел. Более 300 человек из числа сотрудников органов внутренних дел задействованы в организации подготовки и проведения переписи спецконтингента на объектах МВД ГССР.**

**Руководством МВД ГССР образована комиссия по подготовке и проведению Всесоюзной переписи населения на объектах МВД ГССР.**

**Председателем комиссии назначен первый заместитель министра, генерал-майор в/с В. Шадури.**

**3 января 1989 г. состоялось совещание членов комиссии. В работе совещания участвовали полковник Г. Ходжава, полковник в/с Г. Бичашвили, полковник милиции Л. Горгодзе, ст. лейтенант в/с М. Коносов. На совещании были заслушаны данные руководителей ряда объектов о ходе подготовки и проведения Всесоюзной переписи населения.**

**В тот же день в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского проводилось инструктивное совещание работников переписи объектов МВД ГССР. Совещание проводили зам. председателя комиссии МВД ГССР полковник Г. Ходжава к секретарь комиссии ст. лейтенант в/с М. Коносов. После совещания наш корреспондент С. Алавидзе обратился к Г. Ходжава с просьбой ответить на несколько вопросов, касающихся переписи.**

— **Какое значение имеет перепись в органах внутренних дел в период обновления жизни нашего общества?**

— Перепись покажет, какое у нас население, из кого оно состоит, как изменяется. Данные переписи о численности и составе населения по стране и в том числе на объектах МВД ГССР имеют первостепенное значение для организации практической административной и хозяйственной работы, для изучения закономерностей роста населения, для планирования социального и экономического развития.

Предстоящая Всесоюзная перепись позволит проследить изменения в составе населения за десять лет, которые прошли со времени предыдущей переписи. Все материалы послужат основой для составления планов экономического и социального развития на 13-ю пятилетку и на более длительный период.

— **Какие категории населения будут переписываться счетчиками органов ВД?**

— Счетчиками органов ВД на объектах МВД подлежат переписи следующие категории населения:

личный состав войсковых частей и подразделений внутренних войск;

переменный состав военных и других учебных заведений;

осужденные, отбывающие наказание в исправительно-трудовых учреждениях;

лица, содержащиеся в следственных изоляторах;

дети осужденных, находящиеся в домах ребенка;

лица, находящиеся в ЛТП и воспитательно - трудовых профилакториях и т. д.

— **В чем особенности нынешней переписи?**

— Из 25 вопросов, которые будут задавать счетчики, 7 вопросов будут представлять сведения о жилищно-бытовых условиях. Включение таких вопросов в программу — важнейшее преимущество переписи 1989 г.

Счетчик начинает опрос каждого гражданина, который должен будет ответить на 13 вопросов. Этими вопросами исчерпываются сведения, которые будут собраны при переписи о каждом жителе. Следующие пять вопросов будут заданы выборочно — в каждом четвертом по счету жилом помещении.

— **Как идет подготовка к Всесоюзной переписи населения на объектах органов внутренних дел.**

— Перепись на объектах Министерства внутренних дел Грузинской ССР будет проводиться по программе сплошного и выборочного опроса. Население на объектах МВД ГССР будет переписываться своими силами. Для успешного проведения переписи в Управлениях МВД ГССР созданы уполномоченные для осуществления контроля и оказания практической помощи на местах. На объектах же, подлежащих переписи, назначены комиссии (рабочие группы, инструкторские и счетные участники).

Проведена большая подготовительная работа по успешному проведению переписи.

В эту работу вовлечен широкий круг сотрудников органов внутренних дел. С ними неоднократно проводились инструктивные совещания по порядку заполнения переписных листов. Они обеспечены всеми необходимыми материалами, полученными из Госкомстата Грузинской ССР.

В настоящее время все объекты МВД ГССР готовы к проведению Всесоюзной переписи населения.





# ერთი დანაშაულის კვალზე

**29 დეკემბერს** ბორჯომის შს რაიგანყოფილებაში შემოვიდა ოპერატიული ცნობა, რომ ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ბრაკონიერთა თარეშს. განყოფილებაში შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც აგრეთვე შევიდნენ სახელმწიფო ნაკრძალების ინსპექციის თანამშრომლები.

ადგილზე მისულ ოპერატიულ ჯგუფს ბრაკონიერებმა გაუწიეს წინააღმდეგობა და ატეხეს სროლა. მასალას ამ ფაქტთან დაკავშირებით მოგაწვდით გამოძიების დასრულებისას.

# ДЕЙСТВОВАЛИ САМООТВЕРЖЕННО

**ОТВАГА, мужество подлинный героизм всегда присущи работе бойцов огненного фронта. Все эти качества в полной мере проявили сотрудники и курсанты учебного центра Управленя пожарной охраны МВД ГССР.**

**Под утро в дежурную часть поступило сообщение о том, что в Глданском массиве горит одна из квартир девятиэтажного жилого дома. В считанные минуты подразделение под руководством исполняющего обязанности УПВЧ старшего лейтенанта внутренней службы М. Чанкотадзе и начальника караула лейтенанта внутренней службы К. Апциаури прибыло на место пожара и провело боевое развертывание.**

**К этому времени огонь уже бушевал, охватив лоджию, комнаты, создавалась угроза распространения огня и на другие этажи здания. Вступив в схватку с огнем, молодые пожарные помогли выбраться из огня хозяину квартиры гр. Ч. С его слов пожарные узнали, что в квартире остался тяжелобольной, прикованный к постели его 90-летний отец. Тогда в пламя шагнули старший лейтенант в/с М. Чанкотадзе и рядовой в/с З. Гоголадзе. В дыму и огне они сумели найти уже охваченную пламенем кровать и вынести старого человека из квартиры.**

**А вскоре, благодаря принятым эффективным мерам, пожар был локализован и ликвидирован.**

**Благодаря самоотверженным умелым и бесстрашным действиям старшего лейтенанта в/с Т. Гогидзе, сержанта в/с О. Гураспашвили, рядовых в/с Т. Касрадзе, М. Киставри, О. Шевершева, курсантов Г. Давитулиани, М. Григолия, А. Долидзе, Н. Зоидзе, С. Саакяна, и А. Скрипниченко было предотвращено распространение огня на другие этажи здания, спасено имущество семьи.**

**Жители близлежащих домов, члены семьи Ч. выразили пожарным глубокую благодарность и признательность за мужество и самоотверженность, проявленные ими при тушении пожара.**

**А. МАЛАЯНЦ.**

# საქმის ერთგული

**მილიციის** პოდპოლკოვნიკ ზურაბ მიხეილის ძე მელიწყაურს დუშეთის შს რაიგანყოფილების მუშაკები, რაიონის ხელმძღვანელობა და მთელი რაიონის მოსახლეობა იცნობენ, როგორც საქმისადმი თავდადებულ და ალღოიან ოპერმუშაკს. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთ მძიმე დანაშაულს ახდია ფარდა.

ზ. მელიწყაური 1967 წლის გაზაფხულში დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან ვალმოხდილი და 1969 წლის სექტემბერში წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა ქ. თბილისის მილიციის სპეციალური სკოლა. იქედანვე სამუშაოდ დანიშნეს დუშეთის შს რაიგანყოფილებაში უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე. მიენიჭა ლეიტენანტის წოდებაც. უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე 1976 წლამდე იმუშავა, ხოლო 1976 წლის ივლისიდან 1978 წლის დეკემბრამდე კი იმუშავა ამავე განყოფილების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროს ინსპექტორად. ზ. მელიწყაურმა 1977 წლის ივლისის თვეში წარმატებით დაამთავრა მილიციის უმაღლესი სასწავლებლის როსტოვის ფაკულტეტი და 1979 წლის იანვრიდან დღემდე მუშაობს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ ოპერატიულ დარგში.

...1988 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში რაიგანყოფილებაში შემოვიდა შეტყობინება, რომ დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგლის მახლობლად, ტყეში მდებარე საქონლის ფერმასთან, ორი კაცი იყო მოკლული... ბინდდებოდა, ზურაბ მელიწყაური სამ თანამშრომელთან ერთად სასწრაფოდ გაემგზავრა შემთხვევის ადგილზე. მისვლისას გაირკვა, რომ დაუდგენელ ბოროტმოქმედს თოფის გასროლით ორი კაცი მოეკლა და მიმალულიყო. დანაშაულის გასახსნელად მონაცემები ძალზე ღარიბი იყო. მიუხედავად ამისა, ზ. მელიწყაურმა გამოიჩინა მაქსიმალური ოპერატიულობა და ორი დღელამის დაძაბული მუშაობით დაადგინა და კიდევაც დააკავა ბოროტმოქმედი. ასეთია მის მიერ გახსნილი ერთ-ერთი საქმე. და კიდევ მრავალი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლება, რომელიც მას შეხვედრია მუშაობის წლების მანძილზე.



# მკვლელი მართლმსაჯულებას ვერ გაექცა

**25 დეკემბერს,** 11 საათსა და 20 წუთზე ტელეფონის ზარი აწკრიალდა ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სამორიგეო ნაწილში. უცნობის აღელვებული ხმა იტყობინებოდა, რომ გამარჯვების ქუჩა № 23 სახლის მეორე სართულზე თავისივე ბინაში მოკლული იყო სახლის პატრონი, 1913 წელს დაბადებული, პენსიონერი ელენე იაკობის ასული ჩადუნელი.

რამდენიმე წუთში შედგა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ: განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გ. გურგენიძე, უფროსის მოადგილე ოპერატიულ ნაწილში, მილიციის მაიორი ბ. ბლიაძე, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ჯ. ჩხაიძე, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ი. გელაშვილი, უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი შ. გოგოლაძე, განყოფილების პასუხისმგებელი მორიგე, მილიციის კაპიტანი თ. აჩელაშვილი და განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი ნ. კაპანაძე.

ადგილის დათვალიერებამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. საჭირო იყო მეტი დაფიქრება და ოპერატიულობა. ყველა ღონისძიება დროულად ჩატარებული იქნა და სულ მოკლე ხანში ბოროტმოქმედის ვინაობა დადგენილი იყო. იგი აღმოჩნდა ამავე სახლში ქირით მცხოვრები, 1968 წელს დაბადებული, მკვლელობამდე ორი დღით ადრე საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული კომკავშირელი ზ. ზ.

ბოროტმოქმედი ნასვამ მდგომარეობაში მივიდა სახლში, შეიჭრა სახლის პატრონის ოთახში, შეამტვრია კარები, შეუვარდა მოხუც ქალს და გააუპატიურა. ამით არ დაკმაყოფილდა და ნახევრად გრძნობადაკარგულ ქალს მუშტით და წიხლებით ცემა დაუწყო. ბოროტმოქმედი მაშინ დაწყნარდა, როცა მოხუცმა ქალმა სული დალია, ვითომც არაფერი მომხდარიყო, ოთახიდან გამოვიდა და ქუჩას შეაფარა თავი. მალე ისევ განაგრძო ქეიფი. დიდხანს გააგრძელებდა სმას, მილიციის წარმომადგენლები თავზე რომ არ დასდგომოდნენ...

**გ. გურამიშვილი.**

* * *

**სურათზე:** ოპერატიული ჯგუფის წევრები.

ავტორის ფოტო.



პოზიცია

# საბრძოლო დაოსტატებისათვის

**მეხანძრეთა** საბრძოლო მომზადების დონის ამაღლებისა და სახანძრო საქმის პოპულარიზაციის მიზნით ყოველწლიურად ტარდება ზონალური და რესპუბლიკური შეჯიბრებები სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

ამჯერად ზონალური შეჯიბრება ჩატარდა ქ. ფოთში, სადაც მონაწილეობდნენ ზუგდიდის, მესტიის, ხობის, ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორისა და წალენჯიხის მეხანძრეთა ნაკრები გუნდები. შეჯიბრება, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა მეტად საინტერესო გამოდგა. საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს ჩხოროწყუელმა მეხანძრეებმა (16,2 წამი). საბრძოლო გაშლაში კი პირველი იყო გეგეჭკორის რაიონის მეხანძრეთა ნაკრები (1 წუთი და 43 წამი). საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა აბაშის რაიონის მეხანძრეთა ნაკრებმა გუნდმა, მეორე ჩხოროწყუს, ხოლო მესამე გეგეჭკორის გუნდმა. ეტყობა მეხანძრეები წლითიწლობით აუმჯობესებენ თავიანთ ოსტატობას, ისინი საგულდაგულოდ ემზადებიან შეჯიბრებისათვის. ასეთი ზონალური შეჯიბრების ჩატარების მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, არის მეხანძრეთა ყოველმხრივი მომზადების სრულყოფა, რათა ისინი იყვნენ ბრძოლისუნარიანი და შეეძლოთ ყოველგვარ ხანძართან წარმატებით ბრძოლა. მაგრამ შეჯიბრებებზე, როგორც წესი, ერთი და იგივე მეხანძრეები გამოდიან, სახანძრო ნაწილში 30-40 მეხანძრიდან 6 კაცი მონაწილეობს შეჯიბრებაში. მოგახსენებთ ჩემს აზრს, როგორ შეიძლებოდა შეჯიბრებაში ყველა მათგანის ჩაბმა: შეჯიბრებაზე გამოვიყვანდი რაიონების სახანძრო ნაწილების პირველი ყარაულების პირად შემადგენლობას, მომავალ წელს მეორე ყარაულს, შემდეგ მესამეს და მეოთხეს. ეს შესაძლებელია და შედეგიანიც, ამით სახანძრო ნაწილებში საბრძოლო მომზადების დონე აიწევა. მითუმეტეს ვიცით, რომ პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობები ნაწილებში ტარდება უხარისხოდ. თუ ზონალურ შეჯიბრებებში რიგრიგობით ყველა ყარაულების მონაწილეობას დავაკანონებთ, მაშინ ყოველდღიური მეცადინეობის ხარისხიც გაუმჯობესდება და მეხანძრეთა საბრძოლო მომზადების დონეც თანაბრად აიწევს. ახლა რა გამოდის? რაიონებისა და ქალაქების მრავალრიცხოვანი კოლექტივებიდან ყოველწლიურად გამოგვყავს ერთიდაიგივე 6-6 კაცი, დანარჩენი უმრავლესობა სათანადო მომზადების გარეშე რჩება.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ახალი დებულების შემუშავება და მისი რეალიზაცია კარგ შედეგს გამოიღებს.

**ლ. ჟოჟუა.**
**ფოთის პროფესიული სახანძრო რაზმის უფროსი.**

**რედაქციისაგან:** ამ წერილმა ჩვენც გვაფიქრებინა, რომ მისი ავტორის მიერ შემოთავაზებული შეჯიბრების ჩატარების ახალი წესი, ბევრად აამაღლებდა თითოეული სახანძრო ყარაულის პროფესიული მომზადების დონეს, რაც უდაოდ დადებითად იმოქმედებს მთელ რესპუბლიკაში სახანძრო დაცვის სამსახურის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე. ცხადია ეს არის აღნიშნული შეჯიბრების მიზანი და ამ საკითხზე გადამწყვეტია სახანძრო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობის აზრი, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველსაც გავაცნობდით.

# ნაძვისხეზე — კულტურის სახლში

**ახალი** წლის პირველ დღეებში ბავშვების მხიარული ხმები ისმის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში, სადაც ყოველ დღე თანამშრომელთა ბავშვებისათვის იმართება ნაძვისხის ზეიმი.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.



## Елка в школе—интернате

**ВЕСЕЛО** и радостно встретили сотрудников Тетрицкаройского РОВД учащиеся 8-летней школы - интерната, которые пришли к ним на новогоднюю елку с подарками. Гостями детей были заместитель начальника РОВД по политчасти майор милиции Р. Раминашвили и начальник пожарной части старший лейтенант внутренней службы С. Кочоришвили.

Руководство райотдела внутренних дел также заказало автобус, на котором учащихся школы-интерната привезут в Тбилиси на главную елку — во Дворце спорта.

### СПРАШИВАЮТ — ОТВЕЧАЕМ

**В ЭТИ ДНИ** в редакцию часто звонят сотрудники милиции, которые обращаются с вопросом об отмене бесплатного проезда на городском транспорте для них, в связи с переходом автотранспортных предприятий на самофинансирование.

В связи с данным вопросом МВД СССР сообщает, что Совет Министров СССР 3 января 1989 г. подтвердил действующий порядок бесплатного проезда лиц рядового и начальствующего состава милиции на всех видах общественного транспорта (кроме такси) в служебной форме или при предъявлении удостоверения личности.

# ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

**„მებრძოლი გუშაგის“** 1 და 15 ოქტომბრის ნომრებში დაიბეჭდა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კომენდატურის უფროსის, მილიციის მაიორის ზ. საზვაძის წერილი „ღრმა რწმენითა და პრინციპულობით“, რომელშიც აღწერილი იყო შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა დარღვევის ფაქტები.

პირველი მაისის შს რაიგანყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. ჯახუტაშვილი გვატყობინებს:

**თბილისის შს სამმართველოს კომენდატურის რეიდმა გამოავლინა ფორმის ტარების დამრღვევი ჩვენი თანამშრომელი, რიგითი მილიციელი შ. ჯალაბაძე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შ. ჯალაბაძის საკითხი მსჯელობის საგანი გახდა პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზე. აღინიშნა, რომ შ. ჯალაბაძე ნამდვილად იმსახურებს მკაცრად დასჯას, მაგრამ მიღებული იქნა რა მხედველობაში, რომ იგი დისციპლინიანი მუშაკია, დიდი ხანი არ არის რაც შს ორგანოებში მუშაობს და ეს შემთხვევა პირველია, მკაცრად იქნა გაფრთხილებული. ასევე გავაფრთხილეთ მთელი პირადი შემადგენლობა, რათა შემდგომში მსგავს ფაქტებს არ ჰქონდეს ადგილი.**

თბილისის შს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქვედანაყოფის პოლიტნაწილის უფროსი, მილიციის კაპიტანი მ. ბუცხრიკიძე გვატყობინებს:

**კომკავშირელ, რიგით მილიციელ ნ. ლობჟანიძის საკითხი განიხილა ქვედანაყოფის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კრებამ, სადაც გაითვალისწინეს, რომ ნ. ლობჟანიძე ადრე არ ყოფილა შემჩნეული რაიმე დარღვევაში და მას მიეთითა.**

**სკკპ წევრის მ. კობიაშვილის საკითხზე იმსჯელა პარტორგანიზაციის ბიურომ და იგი მკაცრად გააფრთხილა.**

**წერილში მოყვანილ ფაქტს გაეცნო ქვედანაყოფის თითოეული მილიციელი. მეთაურთა შემადგენლობას დაევალა კონტროლი დააწესოს ფორმის ტარების მკაცრი დაცვისა და საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მაღალ დონეზე შესრულების საქმეში. ყოველი გამოვლენილი ფაქტი გახდეს მკაცრი მსჯელობის საგნად.**

მხიარულ ტალღაზე

# საახალწლო მინიატურები

**სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებს**

სახელწოდება კარგი გაქვთ,
„სამძებრო განყოფილება“,
დანაშაული ვერ გახსნეს?
მიჭირს მე ამის მხილება.
ნეტავ ვინ იცის სად სძინავთ
მოპარულ მაგნიტოფონებს?!

**სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებს**

ქუჩაში დგახართ მთელი დღე,
ნახვას ვერ იცლით ცოლების,
თქვენ გევალებათ დათრგუნვა
თავაწყვეტილი მძღოლების.
კანონის ძალა თქვენს ხელში
მტკიცე ფარი და ხმალია,
აღკვეთეთ ყველა საგზაო
შემთხვევა თუ ავარია.
საჭესთან ფხიზელი ყოფნის,
დაცვა ხომ თქვენი ვალია.

**მოკვლევა-გამოძიების მუშაკებს**

ჭეშმარიტების დადგენას,
თქვენგან ეფრქვევა ნათელი,
თქვენ აღმოაჩენთ პირველნი,
სიმართლეს სხვისგან გათელილს.
გზა დაგიდაფნოთ ყოველთვის,
უხვად ვარდმან და იებმა,
მაღალ დონეზე გქონოდეთ
საქმეთა გამოძიება.

**სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის მუშაკებს**

ქრთამს უწოდებს „საცოდავ ძღვენს“
ჩვენი დიდებული საბა.
ამის გამო ვითარება,
გართულდა და დაიძაბა.
ზოგნი არას თაკილობენ,
არ რჩებიან გულნაწყენი
გამოვლინდა ვინც აიღო,
მართლაც „საცოდავი ძღვენი“.
ზოგი ცოტას არ ჯერდება,
უყვარს ლუკმა მსუქანი,
ისე ვაჭრობს თუნდაც იყოს,
საკუთარი დუქანი.

**უბნის ინსპექტორებს**

უბანში თუ „შეფი“ ხარ,
გვერდს ვერაფერს აუვლი,
დროზე გამოავლინეთ,
ყველა დანაშაული.
დაამყარეთ უბნებში,
სიმშვიდე და წესის ხმა,
ძირითადში აღკვეთეთ
ლოთობა და ღვინის სმა.
ადგილებზე ინსპექტორი
საქმეს ძალზე სჭირდება,
თუ ხშირად არ გვინახულებთ
ძალზე გაგვიჭირდება.

**არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის მუშაკებს**

არასრულწლოვანებზე
ზრუნვა თქვენი ვალია,
მათი დანაშაული
შეამცირეთ ძალიან.
არასრულწლოვანებთან
(ნოდარი და გურამი)
ნახეთ საერთო ენა
ნუ იქნებით მდუმარი.
არ დაგვჭირდეს ჩვენ მათთვის
ცხინვალი და სურამი.

**ვ. ვანეიშვილი.**
ქ. ტყიბული.

●

(დასასრული შემდეგ ნომერში).

## Зарплата для президента



За океаном вопрос о зарплате не относится к области деликатных. Доходы сильных мира сего обсуждаются достаточно широко и откровенно. Пример тому — публикуемые нами снимки из американского журнала «Ю. С. ньюс энд уорлд рипорт». Здесь разъясняется, что премьер-министр Японии, например, получает 250 тысяч долларов в год, президент Рейган — 200 тысяч, канцлер ФРГ Коль — 195 тысяч, Маргарет Тэтчер — 115, Раджив Ганди — 8 и президент Аргентины Альфонсин — 6 тысяч долларов в год.

Специальная комиссия американского конгресса, занимающаяся вопросами оплаты высших государственных чинов, выражает опасение, что федеральные служащие и судьи в скором времени предпочтут частный бизнес государственной службе, если им не увеличить зарплату. Ведь сейчас действуют расценки 1969 года. Первые шаги уже сделаны. Так, новый вице-президент США Дэн Куэйл будет получать 175 тысяч долларов в год, а доходы главы Овального кабинета возрастут за пятилетие до 350 тысяч.

## Не обошлось без происшествий

**...В НОРВЕГИИ**

В результате пожаров в новогоднюю ночь в Осло сгорели два дома и семь квартир. Сообщения о пожарах из-за неосторожного обращения с праздничными пиротехническими средствами поступают также из других городов страны. Много хлопот властям доставила молодежь. В столичное полицейское управление за ночь поступило более 160 уведомлений о массовых драках и пьяных побоищах в ресторанах, на улицах и в жилых домах. Неизвестные лица открыли огонь по пассажирскому такси. В городе Кристиансунн задержана группа молодых людей, обстрелявшая полицейские машины новогодними ракетами.

**...В АВСТРИИ**

Не стал исключением и нынешний год. Львиная доля происшествий в Вене пришлась на площадь Стефансплатц — традиционное место встреч в новогоднюю ночь. Из-за столкновений с полицией здесь было арестовано 12 человек. 29-летний Антон Юнг взобрался на собор Стефансдом и прыгнул с огромной высоты на площадь. Вернуть его к жизни не удалось.

**...В ФРГ**

Не обошлось без происшествий в новогоднюю ночь и в городах ФРГ. В округе Гермерсхайм в результате взрыва самодельного пиротехнического устройства погиб 17-летний юноша, его товарищ получил серьезные ранения. В районе Кобленца взрывом разрушена стена особняка, травмированы несколько молодых людей

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 99-1-41-24.
ჩვენი მისამართი: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72;

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00397